საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/107 "25" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის უძრავი ქონების დემონტაჟის განხორციელებასა და განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2022 წლის 13 ოქტომბერს №06-9093 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემულ ფართზე (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა, ს/კ 01.13.04.008.002) იგეგმება არსებული შენობის რეაბილიტაცია და მასში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ნაწილის განთავსება, რისთვისაც საჭიროა ადგილზე არსებული შენობის (№1/1) დემონტაჟი. ვინაიდან ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ითხოვს თანხმობის მიცემას, რათა განახორციელოს აღნიშნული შენობის დემონტაჟი და განკარგვა „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილებისა და „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ე" ქვეპუნქტების საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების დემონტაჟი და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი